სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

05 ივნისი 2024

N 282/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნორიოში, შპს „ჯასთ ფროდაქშენის" ასფალტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.5 ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის 5.3 ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნორიოში, შპს „ჯასთ ფროდაქშენის" ასფალტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N32;
2. შპს „ჯასთ ფროდაქშენი" ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N32 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯასთ ფროდაქშენს" და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯასთ ფროდაქშენის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო